

განმარტებითი ბარათი
საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტზე „დასახლებული პუნქტების,
ქუჩებისა და მოედნების სახელწოდებებთან დაკავშირებით“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის თაობაზე

ა.ა. დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული დასახლებული პუნქტების, ქუჩებისა და მოედნების ბოლშევიკურ რეჟიმთან დაკავშირებული, ასევე ბოლშევიკური რეჟიმის აქტივისტების სახელობის სახელწოდებების არსებობა, რაც შეცვლას საჭიროებს.

საქართველოს ტერიტორიაზე კვლავ შემორჩენილია დასახლებული პუნქტების, ქუჩებისა და მოედნების საბჭოთა ბოლშევიკურ რეჟიმთან დაკავშირებული სახელწოდებები. მაგალითად: წითელარმიელის ქუჩა, ქედის კომუნის ქუჩა და სხვა მისთანანი. ცალკეული ქუჩების სახელწოდებები დღემდე უკვდავყოფს ბოლშევიკური, სისხლიანი რეჟიმის აქტივისტებს (მაგ, ენუქიძის ქუჩა, თოდრიას, აფანასიევის, კამოს ქუჩები და სხვა). XXI საუკუნის საქართველოში ანაქრონიზმია ისეთი სახელწოდებები, როგორიცაა მიტინგის ქუჩა, დეპოს, ტრაქტორის, საყვირის, ტრიკოტაჟის ქუჩები და მისთანანი.

ხსოვნის კულტურა ერის სულიერი კულტურის ნაწილია. საჭიროა შეიცვალოს დასახლებული პუნქტების, ქუჩებისა და მოედნების ისეთი სახელწოდებები, რომელნიც სრულ დისკარმონიას ქმნიან ქართული სახელმწიფოს ტრადიციებთან და დღევანდელობასთან.

ა.ბ. დადგენილების პროექტის მიზანი

დადგენილების პროექტის მიზანია შეიცვალოს დასახლებული პუნქტების, ქუჩებისა და მოედნების ისეთი სახელწოდებები, რომლებიც სრულ დისკარმონიას ქმნიან ქართული სახელმწიფოს ტრადიციებთან და დღევანდელობასთან და შემორჩენილია კომუნისტული მმართველობის ეპოქიდან.

ა.გ. დადგენილების პროექტის არსი

დადგენილების პროექტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უნდა დაევალოს შესაბამის სამთავრობო კომისიასთან შეთანხმებით, 2008 წლის 1 იანვრამდე შეცვალოს გეოგრაფიული ობიექტების, დასახლებული პუნქტების, ქუჩებისა და მოედნების ის სახელწოდებები, რომელნიც ქართველი ერის ნების გარეშე თავსმოხვეული იყო კომუნისტური რეჟიმის მიერ და რომლებიც აღარ შეესაბამებია რეალობას.

ბ) დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა. დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღება არ იწვევს საბიუჯეტო ხარჯებს.

ბ.ბ. დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ. დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

დადგენილების პროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ. სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

დადგენილების პროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე. დადგენილების პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება აღნიშნული კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ. დადგენილების პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

დადგენილების პროექტით არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის განსაზღვრა.

გ) დადგენილების პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა. დადგენილების პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ. დადგენილების პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

დადგენილების პროექტი არ უკავშირდება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ. დადგენილების პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) დადგენილების პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა. სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია-დაწესებულებები, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დადგენილების პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დადგენილების პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით გამართულ სამუშაო შეხვედრებზე მონაწილეობა არ მიუღიათ არასახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებებს, ექსპერტებს.

დ.ბ. დადგენილების პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

დადგენილების პროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

დ.გ. დადგენილების პროექტის ავტორი

დადგენილების პროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი ნოდარ გრიგალაშვილი

დ.დ. დადგენილების პროექტის ინიციატორი

დადგენილების პროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის
წევრი ნოდარ გრიგალაშვილი

